საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4254
06/06/2023

4254-21-2-202306061306

შპს „ლეგის“
მის: ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხუცუბანი
ელ. ფოსტა: info@legi.ge

ასლი: სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3736 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართული სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე (ს/კ: 81.08.09.443), „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №19-38 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 2. აღნიშნულ წერილში ასევე მითითებულია იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენს სამრეწველო ზონა 2-ში დაშვებულ სახეობას. ვინაიდან, ავტოგასამართი სადგური არ შედის მითითებულ ჩამონათვალში, დაზუსტებას საჭიროებს სამრეწველო ზონა 2-ში ავტოგასამართი სადგურის დასაშვებობის საკითხი;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციაზე და ამასთან, თანდართული ფოტომასალით დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურისთვის განკუთვნილი გარკვეული ობიექტები უკვე მოწყობილია. დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში კი მითითებულია რომ კომპანიის მიერ იგეგმება ავტოგასამართი სადგურის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე

განხორციელებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

- დაზუსტებას საჭიროებს დოკუმენტში წარმოდგენილი ნავთობპროდუქტების საცავის GPS კოორდინატები.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ავტოგასამართი ზემოაღნიშნულ წერილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო